



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011784635432421

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

105875

12 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 65084/17. **თარიღი:** 15.02.2021 წ.

დამატებით წარმოდგენილი განცხადების ნომერი: 82107/17. **თარიღი:** 22.02.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრისა და დამატებითი განცხადების წარმოდგენი პირი: თინათინ დარჩიას (პირადი ნომერი 47001044665) წარმომადგენელი მიხეილ რამიშვილი (პირადი ნომერი 01008007432).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებების გამოძგეში სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებები: რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ № 882021045918-03 (02.02.2021 წ.) და №882021045926-03 (01.02.2021 წ.) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებელი გადაწყვეტილებების გაუქმება და თინათინ დარჩიას (პირადი ნომერი 47001044665) საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

უძრავი ნივთების მისამართები: ქალაქი ახალციხე, სულხან-საბას ქ. №3.

ადმინისტრაციული საჩივარი მიღებულია წარმომბაში № 68893 (18.02.2021 წ.) და № 78989 (24.02.2021 წ.) გადაწყვეტილებებით და უძრავ ნივთებთან (საკადასტრო კოდები 62.09.58.044 და 62.09.58.043, მისამართები: ქალაქი ახალციხე, სულხან-საბას ქ. №3) დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმომბაში დაინტერესებული პირის სტატუსით ჩაბმულია ნინო ჩინხაშვილი (პირადი ნომერი 47001005492), ხოლო უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი 62.09.58.043) რეგისტრირებული იპოთეკიდან გამომდინარე, ამ უძრავ ნივთთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმომბების ნაწილში - ასევე, სს „საქართველოს ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 204378869).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმომბების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმომბაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმომბაში.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამ კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია გადაწყვეტილება დაეფუძნოს იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებს ან არგუმენტებს, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმომბების დროს, ხოლო 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმომბებისას გამოიკვლიოს საქმისათვის

მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე მეტი, შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა უნდა გაგრძელდეს.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის და 194-ე მუხლის საფუძველზე,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გაგრძელდეს თინათინ დარჩიას (პირადი ნომერი 47001044665) წარმომადგენლის მიხეილ რამიშვილის (პირადი ნომერი 01008007432) №65084/17 (15.02.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა ერთი თვით.

2. ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე შეჩერდეს 62.09.58.044 და 62.09.58.043 საკადასტრო კოდეხით რეგისტრირებული უძრავი ნივთების მონაცემების მოქმედება. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერების პერიოდში დაუშვებელია ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამონაწერის მომზადება, აგრეთვე უფლების (გარდა საგადასახადო გირავნობისა/იპოთეკისა), უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება გაეგზავნოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ოფისს.

4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე - თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2), ასევე ახალციხის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქალაქი ახალციხე, მიხეილ თამარაშვილის ქ. № 3) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციების წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე